საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება
# 2020
## ნოემბერი



31.12.2020

www.geostat.ge

## ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

ნოემბერი 2020

წინასწარი შეფასებით, 2020 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) კლებამ 7.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2020 წლის პირველი თერთმეტი თვის საშუალო მაჩვენებელი -5.9 პროცენტია.

**ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2020 წელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)**




2020 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კლება შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ხელოვნება, გართობა და დასვენება, განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი.

ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ასევე წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ნარჩენების მართვის სფეროებში.

საქსტატი
www.geostat.ge

# საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

31.12.2020

## ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა
ნოემბერი 2020

### ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | წინა წლის შესაბამის თვესთან | წინა თვესთან |
|---|---|---|
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი | 103.8 | 100.9 |
| სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი | 110.0 | 102.4 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები
2020 წ. იანვარი-ნოემბერი

| მაჩვენებელი | მლნ. აშშ დოლარი | ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან) |
|---|---|---|
| საქონლის ექსპორტი (FOB) | 3 016.4 | -11.3 |
| საქონლის იმპორტი (CIF) | 7 186.0 | -15.9 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 10 202.4 | -14.6 |

### საქონლით საგარეო ვაჭრობა, 2020
(მლნ. აშშ დოლარი)



## სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | ნოემბერი |
|---|---|
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული) | 3 455 |
| ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | -11.4 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი) | 7 328.7 |
| ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%) | -4.2 |

## დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%), 2020




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2020
(მლნ. ლარი)




**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

## საბანკო სფეროს მთლიანი გამოშვება, 2020
(მლნ. ლარი)




**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი.

31.12.2020

## საინფორმაციო ფურცელი

საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

**საკონტაქტო პირები:**

ლევან ქარსაულიძე
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: lkarsaulidze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge